საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030686258538420

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3638 **31 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ა.წ. 19 აგვისტოს #01/21833 წერილთან დაკავშირებით თქვენი სარეზოლუციო დავალების პასუხად, რომელიც ეხება ისრაელის სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ შეთანხმების პროექტს „Implementing Agreement on Special Measures to Facilitate Civil Aviation During COVID-19 Outbreak", მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი ძირითადად მოიცავს როგორც COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას მხარეებს შორის, ასევე მგზავრთა გამარტივებულ გადაადგილებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გამოთქვამს მზადყოფნას, სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამის უწყებას წარუდგინოს შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-5, მე-6, მე-7 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაზიარებას მხარეებს შორის, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, აღნიშნული ასევე შეთანხმდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან.

რაც შეეხება შეთანხმების მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებებს, რომელიც ეხება ორ ქვეყანას შორის საჰაერო გზით მოგზაური პირების გამარტივებულ/თავისუფალ შესვლას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე კარანტინის, PCR ტესტირებისა ან სხვა, შესაბამისი პროცედურების გვერდის ავლით, მოგახსენებთ, რომ მართალია, გარკვეული პერიოდის წინ აღიშნული საკითხი წარმოადგენდა მხარეებს შორის განხილვის საგანს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე ისრაელის სახელმწიფო წარმოადგენს COVID-19 მაღალი გავრცელების მქონე ქვეყანას, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ვერ გასცემს აღნიშნულ სახელმწიფოსთან თავისუფალი მიმოსვლის რეჟიმის შემოღების რეკომენდაციას, ღია მწვანე კორიდორის პრინციპით.

დამატებით გასათვალისწინებელია, რომ შეთანხმების მე-5 მუხლი დაკავშირებულია ფინანსურ ვალდებულებასთან, რაც შესაბამის სამსახურებთან იქნება შესათანხმებელი; ასევე ის გარემოებაც, რომ შეთანხმების პროექტს არ ახლდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული "დანართი 1".

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე